№ 155 ივლისი 24, ოთხშაბათი 1891 ივლისი 24, ოთხშაბათი № 155

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა ივლისის 30 რიცხვს, შუა დღეს, გამგეობის თანადასწრებით ვაჭრობა იქნება დანიშნული განცხადებათა 50-ის ბოძის იჯარით გაცემისა და სამის წლის ვადით ამ ბოძებზე განცხადებათა გაკვრის უფლებისა.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, პირობათა შეტყობა შეუძლიან გამგეობის კანცელარიაში, ყოველ-დღე დილის $8^1/_2$ საათიდგან, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათამდე. (3—99—3)

## მილის წყლის განყოფილება

ამით აუწყებს იმათ, რომელთაც წყალი გაუყვანიათ და წყლის ხვედრი გადასახადი ან მილის გასაყვანი არ გადაუხდიათ, რომ მარიამობისთვის 1-ლ რიცხვიდამ წყლის მიცემა მოესპობათ. (2—101—1)

## ახალი ამბავი

*** დღეს, ამ თთვის 24, ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე გორის მაზრაში მიემგზავრება ამმაზრის დასათვალიერებლად.

*** ბ-მა ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ადგილობრივს უმაღლესს მთავრობას, რომ გორის მაზრის ავაზაკები სამხედრო სისხლის სამართალში იქმნენ მიცემულნიო. ავაზაკები გორის ციხეში იქმნებიან დაპატიმრებულნი, ვიდრე სასამართლოს გამოძიება გათავდებოდეს.

*** ამ დღეებში ტუსაღების ციხეში წაყვანის დროს ქალაქის მუშაობიდგან, ტუსაღი ახმედ გერეევი გაექცათ დარაჯებს და გაქცეულს ეხლა პოლიცია დაეძებს.

*** ამ კვირას ბ-ნი ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლევან ჯანდიერი გორში გაემგზავრება ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ბრძანებისამებრ გორის ავაზაკების საქმის გამოსაძიებლად.

*** ყველას ეხსოვნება, რომ შარშან ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობდა იტალიის ტახტის მემკვიდრე პრინცი ვიქტორ ემანუელი. თავის მოგზაურობა პრინცსაუწმრია თურმე და, როგორც გაზ. „ტ. ლისტ."-ი ამბობს,—ამ მოკლე ხანში გამოვა იტალიაში გასასყიდად იტალიურს ენაზედა. წიგნი შემდეგის სათაურით იქნება: „შენიშვნები პრინც ვიქტორ ემანუელისა რუსეთში მოგზაურობის დროს". ყველაზედ დიდი ადგილი, თითქმის ნახევარი, ამ „შენიშვნებში" აქვს დათმობილი თურმე კავკასიას, რომელიც პრინცმა კასპის ზღვიდგან შავ ზღვამდე გაიარა.

*** ამ დღებში ქუთაისისაკენ მიემგზავრება ბაქოდგან ჩამოსული ფოტოგრაფი ბ-ნი მიშონი, რომელსაც გრაფ უვაროვის მეუღლემ, მოსკოვის საარხეოლოგიკომისიის თავმჯომარემ, მიანდო ქუთაისის გუბერნიაში უძველეს ნაშთთა ფოტოგრაფიით დასურათება. ბ-ნს მიშონს თითქმის ყველგან მიუღია ჯილდო, სადაც-კი ყოფილა მონაწილედ საფოტოგრაფიო გამოფენაზეო, ამბობს გაზ. „ტ. ლისტოკი"

*** რკინის გზის სადგურის „ვარვარინო"-სა და ხაშურს შუა, შაბათს, 20 ივლისს, საღამოს მეშვიდე საათზედ უბედურება მომხდარა რკინის გზის ლიანდაგზე. ჯერ ორი ვერსი არ გამოევლო ბათუმიდგან მომავალს სახალხო მატარებელს „ვარვარინო"-დგან, რომ გზაზედ დაჰტაკებია ერთს ქვიშხეთის მცხოვრებელს გლეხს და თავი წაუგლეჯია. საბრალო თურმე სოფ. ტეზერიდგან მოდიოდა ნაქეიფარი: დღეობაზედ ყოფილიყო. ორი სხვაც ყოფილა ამათთან, მაგრამ ამათ მოუსწრიათ გადასვლა. უბედური გლეხი იქვე დაუსაფლავებიათ.

*** ყველა რკინის გზის სამართველოს ბრძანება მოუვიდა გზათა მინისტრისაგან, რომ მოსწავლეებს ცალკე ვაგონები მიეცით მატარებელშიო, მერე ისე, რომ მოსწავლე ქალები საქალებო ვაგონებში იყვნენ მოთავსებულნიო. ზაფხულის კანიკულების დაწყებისას და გათავებისას, აგრეთვე შობა-ახალწელიწადსა და აღდგომის დღესასწაულების წინა დღეებში მოსწავლეთათვის მატარებელს უთუოდ ცალკე ვაგონი უნდა მიაბათ, განსაკუთრებით ამათთვისაო, ნაბრძანებია ბ-ნ მინისტრისაგან.

*** ამიერ კავკასიის გორის სამოსწავლო სემინარიის დირექტორი აცხადებს, რომ ზემოხსენებულს სემინარიაში შემსლელთათვის გამოცდა დანიშნულია 27 მარიამობისთვეს. ვისაც ამის შესახებ დაწვრილებით ჰსურს შეიტყოს წესები, პირდაპირ სემინარიის კანცელარიას უნდა მიჰმართოს გორშიო.

*** მძიმედ ავადმყოფს სომეხთ ეპისკოპოსს მამბრეს ამ უკანასკნელს დღეებში უკეთესობა ეტყობა. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ეპისკოპოსი სრულიად განიკურნება სენისაგანო.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ „სუფსის" უფროსის თანაშემწე ს—ნს მდინარე რიონზე გადასვლის დროს ბორნიდგან წყალში გადავარდა და დაირჩო. რა იყო მიზეზი იმის თავის დარჩობისა, არავინ იცის.

*** რკინის გზის სადგურს „დოლიარზე" ამ თთვის 20-ს ორთქლმავალი გადმოვარდნილა რკინის გზის ლიანდაგიდგან და დამსხვრეულა ორის ვაგონითურთ. მემაშინეს და კონდუქტორს მოუსწრიათ დროთი გადახტომა და თავის შველა. დამსხვრეულა ორთქლმავალ და ვაგონებს გზა შეუკრავთ და მატარებლის მისვლა მოსვლა დროებით შემწყდარა.

*** რუსეთის გაზეთები სწერენ, რომ ოცი ათასის თუმნის მოგება ამ ივლისის 1-ლს რიცხვებში მომგებიან ბილეთების თამაშის დროსა ერგო ერთს მდიდარს ვაჭარს შიდა რუსეთის ერთ-ერთს გუბერნიაშიო.

*** „სემეინი" ბაღი, წრეულს პუშკინისად წოდებული, თან-და-თან უფრო გაუკეთესებასა და განკარგებაში შედის და საკმაო ხალხსაც იზიდავს. ამ ბაღის გამგემ, ბ-ნმა სამარინ-ბიხოვეცმა, ეხლა კიდევ ქ-ნს ლასალთან ერთად არტისტი ესპე მოიწვია და ჰსცდილობს, კარგი გასართობი გაუჩინოს ამ ზაფხულობით ქალაქში დარჩენილთა და აგარაკად არ გასულს ხალხს. ამის გამო ამ ბაღში თან-და-თან უფრო რიგიანი ხალხი დადის. წარსულს კვირას, მაგალითებრ, პრინცი ნაპოლეონი და ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი შერვაშიძეც დაესწრო წარმოდგენას, რომელშიაც ქ-ნი ლასალიც იღებდა მონაწილეობას.

*** ოსმალეთის მთავრობას განუზრახავს სტამბოლში სავაჭრო მუზეის დაარსება. მუზეის თვით ოსმალეთის მთავრობა ჰმართავს და ნება თვით სულთანმა დართო. მუზეის შეადგენს ორი განყოფილება: პირველში იქნება მოთავსებული ოსმალოს ყოველ გვარის ნაწარმოების ნიმუშები, ნაჩვენები იქნება ადგილი, სად რა სწარმოებს, რა ღირს, როგორ და რა გზით შეიძლება გადმოტანა; მეორე განყოფილებაში გამოფენილი იქნება სამანუფაქტურო და სხვა გვარი ნაწარმოები უცხო სახელმწიფოთა, საიდამაც-კი შემოაქვთ ოსმალეთში. მუზეისთან წიგნთ-საცავიც იქნება თურმე გამართული და იქვე ერთი განყოფილება სავაჭრო საქმეთა. აქ იქნება თავმოყრილი კატალოგები საქონლისა და გადასატანი ფასები. ყოველ გვარი ცნობა სავაჭრო საქმეების შესახებ მუდამ მუქთად შეიძლება შეიტყოს კაცმა აქვე. საქონელი თუ გაიყიდა ამ მუზეის შემწეობით, საკომისიოდ რამდენსამე % დაიჭერენ.

ოსმალეთის მთავრობას თავის საელჩოსათვის წარმოუგზავნია ტფილისში ამ მუზეის შესახებ ცნობა და სთხოვს ჩვენის ქვეყნის ვაჭრებს, მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში. მუზეი ან, უბრალოდ რომ ვსთქვათ, მაღაზია სტამბოლის საუკეთესო ნაწილში იქნება მოთავსებული და ამ მოკლე ხანში სრულიად გაიმართება კიდეცაო.

## ფელეტონი

### ქართლის საფილოქსერო დასი

ამბობენ, შარშან-წინ აზ. ნ. ჩიკვაიძის ვენახებში ბ-ნმა ვ. ნ. გეევსკიმ რომ პირველად ფილოქსერა აღმოაჩინა, მუხლები ჩაეკეცა, თვალთაგან მწუხარების ცრემლი გადმოსკდა და ოხვრითა სთქვა: „საწყალი ხალხი, ეს პაწია მწერი ამ მშვენიერს ქვეყანას ამოაგდებსო". იმ ხანშივე ბ-ნმა გეევსკიმ აღმოაჩინა ფილოქსერა ქ. ქუთაისსა და ზოგიერთს თითო-ოროლა სოფელშიაც. მაშინვე ალაპარაკდა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადოება, ასე მოულოდნელად თავზედ დატეხილის განსაცდელით შეშფოთებული, მაგრამ ყველაზედ მეტი მზრუნველობა და დახმარება ქვეყანას ამ მხრით, როგორც მოსალოდნელი იყო, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა გაუწია. შარშან, გაზაფხულის დაწყებისათანავე, იმერეთში დაინიშნა ორი განსაკუთრებული საფილოქსერო დასი. პირველს დასს ჰმეთაურობდა და განაგებდა აგრონომი თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ხოლო მეორეს აგრონომი ვ. ა. სტაროსელსკი.

ამ ორის დასის მოღვაწეობა შარშან კიდევ უფრო საყურადღებო შეიქნა. ექვსის თთვის განმავლობაში გასინჯულ იქმნა ზემო და ქვემო იმერეთისა და სამეგრელო-გურიის ვენახები. ვინ მოიფიქრებდა, რომ ვრცელი არე-მარე დასავლეთ-საქართველოისა სრულიად მოფენილი იქნებოდა ამ საშიშარის მწერით და ისიც ასე ახლოს, სულ 20—25 ვერსის დაშორებით ქართლის საზღვრიდგან! დღეს ფილოქსერა მრავლის უმრავლესია სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის ორივე მხარის ვენახებში...

ამ წლის გაზაფხულის პირველ რიცხვებიდგან იმერეთში მუშაობა დაიწყო მხოლოდ ერთად-ერთმა დასმა ვ. ა. სტაროსელსკისამ, რომელმაც უნდა სცადოს, იხეირებს თუ არა ამერიკული ვაზი საქართველოს ნიადაგზედ; გარდა ამისა, იგი ადგილობრივვე სცდის ფილოქსერის მოწამვლისა და მოსპობის საშუალებათა. რასაკვირველია, ასეთს საშიშარსა და გამრავლებულს მტერთან ბრძოლა უფრო რთულსა და მრავალ-გვარს დაბარაგებას მოითხოვს და ამიტომ საფილოქსერო კომიტეტს განზრახვა აქვს და უნდა იმერეთში აწ არსებულს დასს კიდევ მიუმატოს სამი, ანუ ოთხი დასი.

როგორც ჰხედავთ, დასავლეთის საქართველოს ვენახების საქმე დიდს განსაცდელშია ჩავარდნილი და ფხიზელი, გონება-მახვილი იმერელი ყოველის ღონით სცდილობს, რაიმე საშუალებით უშველოს ხელიდგან მიმავალს მამულს და რამდენსამე წელიწადს მაინც შეაჩეროს დამღუპველის სენის მოქმედება.

ქართლზედ არის დღეს მიქცეული დიდი ყურადღება ამ საქმეში შებმულ გულ-წრფელ და პატიოსან მოღვაწეთა. როგორც მოვიხსენეთ, ქართლზედ ახლოს არის ფილოქსერა და თუ, ღმერთმა-კი დაგვიფაროს, აქაც აღმოჩენილ იქმნა ფილოქსერა, მაშინ, უეჭველია, კახეთიც, ეს ტურფა ნაწილი, ჩვენის ქვეყნისა და განთქმული მხარე ღვინისა, ველარ ასცდება ფილოქსერას და ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ხასიათი და მიმართულება მიეცემა ისეც დაქვეითებულს ქართველთა სამეურნეო ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობას...

ქართლში წრეულს საფილოქსერო კომიტეტის მიერ დაინიშნა აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, რომელიც მაისიდგან შეუდგა მუშაობას. მთელს დასს შეადგენს თერთმეტი ყმაწვილი კაცი, რომელნიც, გარდა იმისა, რომ საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში არიან ნასწავლნი, ჯეროვანად დახელოვნებულან ფილოქსერის ძებნისა და ვენახების სხვა-და-სხვა გვარ სენის ექიმობის საქმეშიც.

ექსპერტის ი. ზ. ანდრონიკაშვილის დასმა უნდა გასინჯოს ორი მაზრის, გორისა და დუშეთის, ვენახები, მაგრამ, რადგან დასი მცირეა და ამასთან მუშაობაც გვიან დაიწყო, ექსპერტმა საჭიროდ დაინახა, წრეულს სრულიად დაეტოვებინა დუშეთის მაზრა და მთელი ყურადღება და ძალა თავისის დასის მოქმედებისა მხოლოდ გორის მაზრისათვის მიექცია.

ექსპერტმა დასი ორს გუნდად გაჰყო. პირველი გუნდი ჰმუშაობდა სოფ. ხიდის-თავში, ხოლო მეორე სოფ. რუისში. გარდა აღნიშნულ სოფლებისა, დასი სამაგალითოდ და ხალხის დასანახვებლად ქართლის ბაღებითა და ვენახებით განთქმულს სოფლებში ოზსა (მილდიუსს) და ნაცარსა სწამლობს. ხალხი, რასაკვირველია, ქართლში ჯერ-ჯერობით შეჩვეული არ არის ასეთს საქმეს და გულგრილად უცქერის დასის მუშაობას. ექსპერტი ი. ზ. ანდრონიკაშვილი მხურვალედ ეკიდება საქმეს და, სადაც-კი შემთხვევა ეძლევა, ხალხს ფილოქსერის მავნებლობას უხსნის.

ამ ჟამად ხიდის-თავის გუნდი სუ-

*** კავკასიის სომეხთ საქველ-მოქმედო საზოგადოების განყოფილება ქალაქ ახალციხეში გვთხოვს, საყოველთაოდ გამოვაცხადოთ, რომ ამ წლის ენკენისთვიდამ საზოგადოება აპირობს ქალაქ ახალციხეში სახალხო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს გამართვას. საზოგადოების განყოფილება მიჰმართავს ქართულ წიგნების ავტორებსა და გამომცემელთ, რათა შემწეობა აღმოუჩინონ ქართულ წიგნების შეწირვით მომავალ სახალხო სამკითხველოსათვის, რომელსაც ბლომად ქართულ წიგნების მკითხველებიც აღმოუჩნდება.

შემწირველთ საზოგადოების კომიტეტის სახელობაზედ შეუძლიანთ წიგნების გაგზავნა ახალციხეში.

*** გურია თითქმის ერთი თთვეა, რაც გამუდმებულად წვიმა მოდის ჩვენში და გამოდარებას ვერ ვღირსებივართ. როგორც მეტის-მეტი წვიმა, რასაკვირველია, მოსავლისათვის დიდად საზიანოა. წვიმა მოსავლის ზრდას აჩერებს და მასთან სხვა-და-სხვა ბალახ-ბულახს აღონიერებს. თუ ასე გასტანა და ამ ცოტა ხანში მზის ცხოველ-მყოფელი შუქი არ მოჰხვდა ჩვენს ყანებს, მოსავლის იმედი სრულიად უნდა დავკარგოთ. გარდა მოსავლისა ასეთს ცუდს დარებს ადამიანის ჯანმრთელობაზედაც ცუდი გავლენა აქვს და ვინ იცის, რა ავადმყოფობას არ გამოატყვრენს.

*** სოფ. ქრკეთი (გურია) ჩვენს სოფელში ერთსა და იმავე დროს ორმა ერთი მეორეზე უფრო საშიშარმა სენმა დაიბუდა—ყვავილმა და მუცელამ. ყვავილს ჯერ-ჯერობით საიმისო ზარალი არაფერი მოუხდედია, ხოლო მუცელა დიდს ზიანს გვაძლევს. განსაკუთრებით ბავშებს გაავლო მუსრი. ბევრს ოჯახში ორი და სამი ბავშვი იმსხვერპლა ამ გამძვინვარებულმა სენმა, შველა-კი არსაიდგან არის. მამასახლისი მოხსენებას მოხსენებაზედ ჰგზავნის, სადაც ჯერ არ, მაგრამ ამაოდ. სენი იმდენად გამძვინვარებულია, რომ ბევრი ოჯახი სტოვებს სახლ-კარს და სხვა სოფელს ეხიზნება. ნეტავი ვიცოდეთ, სადა აქვს ბოლო უყურადღებობას!

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ." შეუტყვია, რომ სომეხთ პოეტი გამარ-ქათიბა (რაფაელ პატკანიანი) ამ ჟამად ძლიერ ავად არისო. ამას წინად გაზ. „მშაკ"-ის კორესპონდენტი ამის შესახებ იუწყებოდა, რომ პოეტი ამ ჟამად სრულიად არ იცნობა, ისე გამოიცვალაო. სულთმღაფავი ავადმყოფი პიატიგორსკში მისულა და თავისი დიდი ოჯახი ქალაქს ნახჩევანში დაუტოვებია მშიერ-მწყურვალე.

ეს გაჭირება ყოფილა თურმე მიზეზი სომეხთ ერთად-ერთის სახელოვანის პოეტისა. 35 წელიწადია ბ-ნი პატკანიანი სომხურს მწერლობას ემსახურება და, მაუხედავად იმისა, რომ ბევრი თაყვანის და პატივისმცემელი ჰყავს იმას სომხებში, მაინც ისეთს სიღარიბეშია თურმე გამარ-ქათიბა, რომ არც ერთს სომხის მწერალს არა ჰხვედრია ამისი მსგავსი რამ. სრულს თავისს სიცოცხლეში თურმე ერთხელ მიუღია თავის ნაწერების ჯილდო, სულ 300 მანათი, ისიც სომხურ წიგნების მბეჭდავ საზოგადოებისაგან. ამიტომაც პატივცემული პოეტი თურმე სხვა საქმეებს ეტანებოდა, ხშირად ისეთსაც-კი, რომელიც მისს ხელობაზე ძლიერ შორს იყო. ყველა ამასთან დიდს ჴორსა და მითქმა-მოთქმასაც არა ყოფილა მოკლებული პოეტი თავისს მემამულეთა შორის.

დაუზოლოვებელმა, განუწყვეტელმა ზრუნვამ თავის ოჯახისათვის ლუკმა პურის შოვნაზე ბოლო მოუღო ბ-ნს პატკანიანს მაშინ, როდესაც იმისი ნიჭი ჯერ კიდევ ძალაში და სისრულეშია და სამშობლო მწერლობისათვის დიდი ღვაწლი შეეძლო დაედო.

სომხის საზოგადოება, რომელიც ესე პატივსა სცემს თავისს სახელოვანს პოეტს, დარწმუნებული ვართ, აღმოუჩენს შემწეობას დაუძლურებულს მოღვაწეს, რომელიც თურმე ერთს კრინტსაც არ იღებს თავის დიდად შევიწროებულ მდგომარეობისა გამო. იმედი უნდა გვქონდეს, რომ სიტყვით მუდამ მარჯვე სომეხთ განათლებული საზოგადოება საქმითაც გამოიჩენს თავისს გულ-უხვობას და დაამტკიცებს, რომ

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უძევს დიდი ზღვარი".

*** მოკლე ხანში გამოვა მეორე და უკანასკნელი ნაწილი რუსულ-სომხურის ვრცელის ლექსიკონისა, რომელიც შეადგინა ბ-ნმა აბესალომ იოანისიანმა.

ამის გამო გაზ. „ნოვ. ობოზრ". სწერს, რომ რუსეთის სომხები ბევრად უკან ჩამორჩებიან ხოლმე სხვა ქვეყნების თავის მოძმეთაო. ოსმალოს სომხებს, მაგალითად, ათამდე სხვა-და-სხვა ლექსიკონი აქვთ სომხურიდამ ევროპიულზედ და ევროპიულლებიდამ სომხურს ენაზედ შედგენილიო, ამათ შორის შესანიშნავი ვრცელი და მშვენივრად შედგენილი ფრანგულ-სომხური ლექსიკონი სომეხთ მეცნიერის ნორაიბ რიუზანდისაო. ვენისა და ვენეციის მეხიტარისტებს ამ შემთხვევაში ბადალიც არა ჰყავთ თურმე. სხვა-და-სხვა სამეცნიერო შრომათა შორის ამათ დაუბეჭდიათ ამ ბოლოს დროს თითქმის ყველა ევროპიულ ენის ლექსიკონები. ერთს დაუღალავს სომხის ბერს დიდი ხანი არაა მშვენიერი დასურათებული ფრანგულ-სომხური ლექსიკონი დაუბეჭდია; ამაზედ უშრომნია თურმე ორმოცი წელიწადი და, როგორც წინასიტყვაობაში ამბობს შემდგენელი, 300 თაბახზე მეტი იქნება ეს ლექსიკონი და შიგ მოთავსებული იქნება სამი ათასი სხვა-და-სხვა სურათიო.

ლექსიკონიც ამასა ჰქვია და პატიოსანი შრომაც ესაა.

*** ჩვენის მეეტლეების წრეს-გადასულს საქციელს არა ეშველა-რა, ცოფიანსავით დააჭენებენ ცხენებს და აღარც გამვლელს დაგიდევენ და აღარც გამომვლელს. არა ერთხელ გაუტანიათ და გაუსრესიათ კაცი, არა ერთხელ დასჯილან ამის გამო, მაგრამ იმათ მორჯულებას მაინც არა ეწამლა-რა. გუშინ-წინ, ორშაბათს, საღამოს ცხრა საათზედ თამამშოვის ქარვასლის წინ ვიღაც მეეტლემ ეტლი დაატაკა ერთს დაბალ-დაბალს კუზიანს კაცს, ქვეშ მოიტანა და ისე გაქანდა, რომ ველარ დაეწივნენ. ქვეშ მოყოლილი აღმოჩნდა ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის ხელოსანი დიმიტრი ვარდიძე, რომელიც ზარხოზად იყო და შინ მიდენილიყო. დაშავებული მაშინვე საქალაქო ქსენონში წაიყვანეს: დაჩეჩქვილი აღმოუჩნდა ყურის ძირი, კუზის თავი და მარჯვენა ხელის მაჯა. ეს კიდევ არაფერი, საბრალოსთვის ეტლს მარჯვენა ფერდის ერთი ძვალი გადაუმტვრევია, ასე რომ დიდხანს მოუნდება წამლობა...

*** ივლისის 21 აბიბ ჰუსეინ-ოღლი პოვოსკის გარეცხის დროს მტკვარმა მოიტაცა. ხალხის ყვირილზე მოვარდა პოლიციელი მოროზოვი, საჩქაროდ ტანთ გაიძრო, გადავარდა მტკვარში და გადაარჩინა. მეპოვოსკე აგრეთვე დაეწია პოვოსკასა და ცხენს ვერის ხიდს ზემოდ და ნაპირზედ გამოათრია. მტკვარმა მხოლოდ პოვოსკის ორი თვალი მოიტაცა.

*** ამ თთვის 23 ივანე არჩვაძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ივლისის 20, შუადღისას, ბაზრის ქუჩაზე სახლი გამიტეხეს და 40 მანათის ნივთეული მომპარესო. ეჭვი არჩვაძემ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელს ყარამან ჯაფარიძეზე გამოაცხადა, რომელიც უკვე შეიპყრეს.

*** ივლისის 21 ოლგას ქუჩაზე იპოვნეს ორის თვის დაბადებული მიგდებული ბავში და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

## არჩილური, შვიდ-თავი

(სამდროო ამოცანები)

კარგი მცოდნეა ძველისა სამწიგნობროსა ენისა,
„ონიქსის" დაცემით მოლექსე, შემზიარები სმენისა,
ლექს შემფერადი „შეძერწით", „იამბიკურად" მშვენისა,
„ხუნდის" ხმის მგალობელია, „კოლოს" მგმობელი „წყენისა";
„იაკინთ ასხმით" მთხზველია, მბრძოლი „ქართულის ხდენისა",
დიდ „ავქსონთ" ჰბაძავს „ალნაქსით", მორიდი „გარდაცდენისა".
„მეფრატად" თხრობის მომწონე,— „ნილოსად" სიტყვის დენისა,
„ლიქნით" ქებისა უკადრი, მადიდებელი „ზენისა".

## წერილი პეტერბურგიდან

პეტერბურგის დღევანდელი ამბავი—საფრანგეთის ესკადრა და ფრანგებია. გაზეთშიაც სხვას ვერას წაიკითხავთ, თუ არა ამათზედ რასმეს. ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს გამოსეირნება საფრანგეთის მეზღვაურთა ფრიად დიდ-მნიშვნელობიანი ამბავია.

მაგრამ სანამდის მივაქცევდე თქვენს ყურადღებას ამ პოლიტიკურს დემონსტრაციას, ორის ძლიერის სახელმწიფოისას—საფრანგეთისასა და რუსეთისას, ჯერ მინდა ცოტა რამ გიამბოთ იმის შესახებ, თუ როგორ მიეგებნენ აქაურები ფრანგებს და როგორ ემზადებოდნენ იმათ დასახვედრად.

ესკადრის მოსვლის წინა დღეს, მე დავესწარი პეტერბურგის საბჭოს სჯას იმის შესახებ, თუ როგორ გაუმასპინძლდნენ საფრანგეთის წარმომადგენელთა.

ქალაქის თავმა ბ-ნმა ლიხაჩევმა მოახსენა კრებას, რომ „ჩემის აზრით, ემჯობინება, მოვიწვიოთ ჩვენი სტუმრები აქ საბჭოს დარბაზში, საღამოს, დავლიოთ თითო ჭიქა ღვინო იმათი სადღეგრძელო და სამახსოვროდ მივართვათ თითოეულს გემს ვერცხლის კათხა, ადმირალს ცალკე ვერცხლისავე მინანქრით გაკეთებული სასმისი და ადმირალიდამვე დაწყებული უკანასკნელ მესაჭემდე სათუთუნე ასასის პაპიროსითაო". ზოგიერთმა მოითხოვა, რომ ნადიმი გავუმართოთ ფრანგებსაო. ამაზედ ერთმა მოხუცებულმა ხმოსანმა სთქვა: „ბატონებო! როდესაც პირველად მოვიდა პეტერბურგში საფრანგეთის ესკადრა 1841 წელს, ნიკოლოოზ ხელმწიფის დროს, მაშინ პეტერბურგის საბჭომ თითოეულს ჯარის-კაცს თითო გირვანქა ჟუკოვის ქარხნის თამბაქო აჩუქა. ამ ამბავმა დიდი ალტაცება მოახდინა ევროპაში. დარწმუნებული ვარ, ეხლაც პაპიროსების ჩუქება ალტაცებას მოახდენს ევროპაში".

კრებაში ერთი ჰირვეული მიკიტნების წარმომადგენელი ხმოსანი ყოფილიყო, რომელსაც არ მოეწონა ორატორის აზრი და ასე უპასუხა: „1841-ში ჩვენ ვაჩუქეთ ფრანგებს თამბაქო, რომელიც დაიწვა და იქცა კომლად! ეხლაც კიდევ გვინდა ვაჩუქოთ პაპიროსები, რომელიც იმ ნაირთვე უნდა დაიწვას და კომლად იქცეს! ეს ხომ სულ კომლი და კომლი გამოდის! რას დაიჟინეთ ეს თამბაქო, არა სჯობია, კარგი სადილი ვაჭამოთ ჩვენებურად გულ-გახსნილად"?!.

კრებამ ქალაქის თავის აზრი მიიღო. შემდეგ ბ-ნმა ლიხაჩოვმა გამოუცხადა ხმოსანთა, თუ როგორ უნდა გაატარონ დრო ფრანგებმა პეტერბურგისა და იმის არე-მარეში, ე. ი. სად სადილს სჭამენ, სად ვახშამს, სად ტეატრში წავლენ და სხვა-და-სხვა.

დანიშნულს დღეს, 11 ამ თთვეს,

რამში ჰსინჯავს ვენახებს. სურამი ახლო არის იმერეთზედ და ზედ ქოჩორის აღმოსავლეთის ფრთის ძირში მიკრული. გარდა იმისა, რომ იმერეთისა და სურამის ხეობის მკვიდრთა შორის ხშირი მისვლა-მოსვლაა, თვით იმერეთიდგანაც მრავალი ხალხი გადმოსახლებულა, სურამს ახლო-მახლო სოფლები გაუშენებია და იქიდგან ვაზის ნერგის გადმოტანაც ჩვეულებად გაუხდია.

ამიტომაც, ადგილობრივ მკვიდრთა გასაფრთხილებლად და დასის მოქმედების აზრის შესაგნებლად, ექსპერტმა ბოქაულს სთხოვა, ხალხი შეეგროვებინა.

კვირას, ამ თთვის 14-ს, სურამის სასოფლო სამმართველოს გრძელი დარბაზი ხალხით იყო სავსე. აქა ჰნახავდით ქართველსაც, სომეხსაც და კიკინებიანს ურიასაც, რომელთაც საკმაოდა აქვთ თავიანთი საკუთარი ვენახები. თითო ოროლა ხნიერი მანდილოსანიც მობრძანებულიყო, რომ თავისის ყურით მოესმინა ვენახის ავადმყოფობის ჰირის ამბავი. თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა ხალხს წაუკითხა ლექცია, რომლიდგანაც რამდენიმე ადგილი მოგვყავს მკითხველთა საყურადღებოდ.

ლექტორმა დაიწყო იმითი, რომ ვისაც არ უნახავს ფილოქსერა და გაგონებითაც არ გაუგონია ამ საშიშარის მწერის მავნებლობა, ის, რა თქმა უნდა, ეჭვის თვალით უცქერის ამ ჩვენს მუშაობასო. საზოგადოების უფროს-ერთს ნაწილსა და ხალხსა დღესაც ფილოქსერა რაღაც მოგონილი ამბავი ჰგონია და ვაზის ყოველს ავად-მყოფობას ჰაერის მავნებელს გავლენასა და ზედ-მოქმედებას მიაწერს. ზოგი-კი ისეთს ცრუ, მოგონილს აზრს ავრცელებს საფილექსერო დასთა მოღვაწეობის შესახებ, რომ აქ თქვენს წინაშე მოხსენების ღირსიც-კი არ არისო. აგერ ორს წელიწადზედ მეტია, რაც საფილოქსერო დასი თქვენში ჰმუშაობს და რაკი ჯერ კიდევ ამ საგნის შესახებ აზრი ვერ გამოგირკვევიათ, მე მსურს მოკლედ აგიწეროთ ფილოქსერა და მისი დამღუპველი თვისება, რომ უფრო ადვილად წარმოიდგინოთ ჩვენის მოქმედებისა და მუშაობის ავკარგიანობა.

„ჩვენის ქვეყნის დასავლეთით, შორს, ძლიერ შორს, არის ერთი ქვეყანა, სახელდობრ, საფრანგეთი, რომელიც ჩვენსავით მევენახობასა და ღვინის მოყვანის საქმეს მისდევს. ამ ოცის თუ და ოცდა ხუთის წლის წინად, ასე 1869 წ., იქაურს ვენახებს რაღაც ჰირი გაუჩნდა, რომელიც სჩაგრავდა ვაზის ზრდას, რქასა და ფოთლებს უმოკლებდა და სრულიად ასუსტებდა. ამ გარემოებამ იქაურების ყურადღება მიაქცია. აღმოჩნდა, რომ ეს ჰირი წარმოსდგებოდა პაწია, შეუჩვეველის თვალით უჩინარ მწერისაგან, რომელსაც ეწოდება ფილოქსერა. საფრანგეთის ვენახებმა უწინ ეს მწერი არ იცოდა, ამერიკიდგან გადმოეტანათ საფრანგეთში და იქიდგან კიდეც იმ ქვეყნებს მოედო, რომელთა მცხოვრებნიც მევენახეობასა და ღვინის წარმოებას მისდევენ.

„ფილოქსერა სცხოვრობს ვაზზე და იმით იკვებება. ამ მწერსა აქვს ნესტარი, რომელსაც ჰკრავს ვაზს და წვენსა სწუწნის.

ნესტარ-დაკრული ალაგი სივდება, სქელდება, კოჟიჟდება და ვენახიც ხმება. ამ სახით ფილოქსერას ბევრი მილიონი დღიური ვენახი გაუხმია ევროპაში.

„ფილოქსერა ოთხ ნაირია: ფოთლის ფილოქსერა, ფესვისა, ფრთიანი ფილოქსერა და ეგრედ წოდებული განსხვავებული (ПОЛОВАЯ) ფილოქსერა.

„ფოთლის ფილოქსერა ძლიერ პატარაა, მრგვალი ტანი აქვს, მოყვითალო ფერი, სამი წყვილი ფეხი, ერთი ნესტარი და ორი ულვაში ნესტარის აქეთ-იქით. ეს ფილოქსერა. გამოიჩიკება თუ არა გაზაფხულზედ განსხვავებულის ფილოქსერის კვერცხისაგან, მაშინვე ვაზის ფოთოლს აჯდება ერთს ალაგას და ნესტრით ჰკბენს. ნაკბენი ალაგი ოდნავ ღრმავდება და მეორე მხარეს იბუშტება, ასე რომ ბოლოს და ბოლოს ფოთოლი ამ ალაგას მრგვლად კოჟიჟდება. ამ კოჟიჟში არხეინად ზის ფოთლის ფილოქსერა და სამის კვირის განმავლობაში 500-600 კვერცხსა სდებს. თითოეულის კვერცხიდგან რვა დღის განმავლობაში გამოდის იგივე ფოთლის ფილოქსერა, რომელიც მაშინვე გადადის ზემო ფოთოლზედ და აქ ისიც თავისს მავნებელს ნესტარსა ჰხმარობს და ისიც 500-600 კვერცხსა სდებს. ასე და ამგვარად მატულობს და მრავლდება ეს მწერი. შემოდგომაზედ, როდესაც ცივი ტაროსი დგება, ფოთლის ფილოქსერა ღრმად ჩადის ვაზის ძირზედ მიწაში და იქ მოსვენებით სძინავს. როგორც ჰხედავს, ფოთლის ფილოქსერა ნელ-ნელა ვაზის ძირზედ გადადის და ბოლოს ფესვის ფილოქსერად გადაიქცევა ხოლმე.

„ფესვის ფილოქსერა გაცილებით უფრო პატარაა ზემოდ დასახელებულ სახის ფილოქსერაზედ და თვალით ძლივსა სჩანს. ამ ფილოქსერას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ-ძალი საზოგადოება მიეგება საფრანგეთის ესკადრას კრონშტადტს იქით. მივუახლოვდით თუ არა საფრანგეთის გემებს, ყოველის მხრიდამ გაისმა მარსელიეზას ხმა, რომელსაც რუსის გემებზედ უკრავდენ. შეიქმნა ქუდებისა და ხელცახოცების ქნევა და ძახილი „Vive la France“-გაუმარჯოს საფრანგეთსაო. ფრანგებიც, მოგეხსენებათ, უკან არავის ჩამორჩებიან ზრდილობითა და ალტაცებითა: იმათაც მოიგლიჯეს თავს ქუდი, იქნიეს ჰაერში და იძახეს „Vive la Russie“-გაუმარჯოს რუსეთსაო. უნდა ვაღიარო, მე ამის მგსავსი სურათი არ მინახავს წინად. ამდენის კაცის ნამდვილი მხიარულება ერთმანეთის დანახვით, ყვირილი, ძახილი, ტაშის კვრა, ყოველი ესე ფრიად განსხვავებული სანახავი იყო.

ეხლა ცოტას რასმეს თითონ გემებზედაც გიამბობთ: ესკადრა შესდგება ხუთის ჯავშნიანის გემისაგან და სამის სანაღმო გემისაგან, ყველა ამ გემზედ 2300 კაცია ეკიპაჟი. ზოგი ამ გემთაგანი ჭეშმარიტად რომ საკვირველი სანახავია: 80 საჟენზედ მეტი სიგრძე აქვს და 10 მეტი სიგანე. 4 საჟენი ზღვაშია და ზემოდ კიდევ იმ სიდიდე და სიმაღლე სჩანს, რომ იფიქრებთ, ეს რა უშველებელი ციხე მოცურავს ამ ზღვაშიო? როდესაც ამისთანა გასაოცარს ხელოვნებას დაინახავს კაცი, არ შეიძლება არ იფიქროს: „მერე ამდენი ნიჭი, ამდენი ხელოვნება, შრომა, სიმდიდრე რაზედ მოუხმარებიათ ადამიანთა? განა იმაზედ, რომ ერთმანეთი დახოცონ, ქალაქები დაანგრიონ და ხალხი გაანადგურონო?“.

რამდენმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც ქრისტემ დაჰგმო მახვილი და ლახვარი, მაგრამ კაცობრიობამ, იმავე ქრისტეს სჯულის მოსავმა კაცობრიობამ მახვილსა და ლახვარს ტყვია წამალი, თოფი და ზარბაზანიც თან მიუმატა!

16 ივლისი — დ. მ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გურია.** 16 ივლისს. ათას გვარ უსიამოვნო და მავნებელ მოვლენათა შორის ზოგჯერ სასიამოვნო და სასარგებლო ამბავიც მოხდება ჩვენში: მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ჩვენებური კინკლაობა, წეწვა-გლეჯა და შური! როცა რომელიმე საზოგადო საქმე, საზოგადო დაწესებულება საკინკლაოდ და საწეწვა-გლეჯოდ გახდება, რა ხეირი უნდა დაეყაროს ასეთს საქმეს, ასეთს დიწესებულებას, გარდა იმისა, რომ სარგებლობის და სიკეთის ნაცვლად ვნებასა და ზარალს მოგვიტანს. ეს უბრალო ჭეშმარიტება ჯერ ჩვენ ვერ შეგვიგნია და, ვინ იცის, კიდევ რამდენს საზოგადო საქმეს გავანადგურებთ, ვიდრე შევიგნებდეთ. ამ მცირე წინა-სიტყვაობის შემდეგ თვით იმ ამბავს მოგახსენებთ, რომელმაც ეს მწარე და უნუგეშო სიტყვები მათქმევინა.

ამ სამისა თუ ოთხის წლის წინად მთავრობამ ეგრედ წოდებულის „пріемный покой“-ს დაარსება განიზრახა ჩვენში და ერთის წლის შემდეგ განზრახვა საქმედაც აქცია. სანამ ეს მოხდებოდა, სანამ ეს კეთილი განზრახვა სისრულეში მოვიდა, ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იწვრილეს და იძიეს იმის შესახებ, თუ სად დაეარსებინათ ეს სასარგებლო დაწესებულება. რასაკვირველია, ისეთი ადგილი უნდა აერჩიათ, რომელიც მთელის მაზრის ყველა მკვიდრისათვის, რამდენადაც შეიძლებოდა, ხელ-მისაწვდენი ყოფილიყო. ბოლოს, ბევრის ლაპარაკისა და კვლევა-ძიების შემდეგ ასეთ ადგილად დაბა ნაგომარი იქმნა აღიარებული. ამ ამბავს ყველა დიდის სიამოვნებით მიეგება. ყველამეთქი რომ ვამბობ, რაღა თქმა უნდა ისინი-კი არ მყავს მხედველობაში, ვინც პირადს ანგარიშებს ემსახურება და გუნდრუკს უკმევს, ხოლო საზოგადო საქმის კეთილ-დღეობა-კი ფეხებზე ჰკიდია, არამედ ისინი, ვისაც თვისი სათაკილო „მე“ დაუვიწყნია და სამაგიეროდ სასახელ-სასიქადულო „ჩვენ“ გაუღმერთებია.

დაბა ჩოხატაური თავიდგან ექიშპებოდა და ეჯიბრებოდა ამ საქმეში ნაგომარს და ახლა ეს ქიშპი და ჯიბრი იქნამდე მიუყვანია, რომ იმედი აქვს „пріемный покой“ ნაგომარს მოაშოროს. ჩოხატაურლებს, რომელთაც ჯერ არავითარს საქველ-მოქმედო საქმეში თავი არ უჩენიათ, მთავრობისათვის უთხოვნიათ, რომ, ოღონდ აქ გადმოიტანეთ „пріемный покой“ და, როგორსაც გვიბრძანებთ, ისეთს სახლს აგიშენებთ და დაგითმობთო. მთავრობას სახლის აშენების ნება მიუცია და დღესა თუ ხვალ სახლი მზად იქნება და ალბად „пріемный покой“-საც მოაშორებენ ნაგომარს და ჩოხატაურში გადაიტანენ. მერმე რა გამოვა ამ გადატანიდგან? ის, რომ ეს დაწესებულება მხოლოდ სახლად იქნება გურიისათვის დაარსებული, ხოლო საზარავად, ღმერთმა უწყის, ვის დაურჩება, რადგანაც ჩოხატაური გურიისათვის განაპირა ადგილია, რომელსაც ჩრდილოეთით სენაკის მაზრის სოფლები უდევს. ამას გარდა ის სოფლები (საჯავახო, სურები, ესეთი და ჯვარცმა), რომელიც ჩოხატაურზე დაახლოებით არის, მთელს გურიაში ჯან მრთელ ადგილებად ითვლება და მაშასადამე ამ ადგილების მკვიდრთათვის „пріемный покой“ ათასში ერთხელ თუ იქნება საჭირო. ნაგომარს-კი სულ სხვა საბუთები აქვს. ჯერ ერთი რომ ნაგომარი ოზურგეთის მაზრისათვის საშუალო ადგილია. ამასთანავე თვით ნაგომარი და იმის ახლო-მახლო სოფლები ცუდ ჰავიანი ადგილებია, სადაც ნიადაგ სხვა-და-სხვა სენი და მოარული ჰბუდობს. ამიტომაც ნაგომრიდგან „пріемный покой“-ს ჩოხატაურში გადატანა უხერხულადაც მიგვაჩნია და უსამართლოებადაც.

ბანაკს იქააშენებენ და ჯარსაც იქ დააბინავებენ, საიდგანაც მტრის შემოსევის შიში აქვთ. მაშასადამე, სამკურნალო და მკურნალიც იქ არის საჭირო, სადაც ავადმყოფთა და ხელმოკლეთა რიცხვი აურაცხელია. ამიტომაც გვგონია, რომ მთავრობა ყოველსავე ამას მხედველობაში მიიღებს და ისეთს ძვირფასს განძს, როგორიც არის „пріемный покой“, ჩოხატაურში გადატანით თავისს პირდაპირს მნიშვნელობას არ დაუკარგავს.

თუ მაინცა და მაინც საქმე იმაზე მიდგება, რომ ამ დაწესებულებას სადგური მუქთად დაეთმოს, მე მგონია, ამის უარსაც არ იტყვიან ისინი, ვისთვისაც ეს საქმე დიდი დასაკლისია, თუ ჩოხატაურში იქმნა გადატანილი. ეს გახლავთ უმეტესობა გურიის სოფლებისა, რომელთაც, როგორც გავიგე, კიდევაც გაუგზავნიათ თხოვნა, სადაც ჯერ არს, რომ „пріемный покой“ ისევ ნაგომარში დაანარჩუნეთო.

კალამი

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მადლობა გუძღვნა ბ-ნს რომანოზ გიორგის ძეს ყიფიანს (ბელოგორის სადგურის ტელეგრაფისტსა), რომელმაც შეკრიბა და უკვე რედაქციის დახმარებით ჩაბარდა (№ 131, 1891 წლისა) 31 მან. 48 კაპ. ჩემდამო რწმუნებულის მცხეთის დედათა მონასტრის საქალებო სკოლის სასარგებლოდ; აგრეთვე მადლობას ვუცხადებ თვით ფულის შემომწირველთაც.

იღუმენია ნინა

# დეპეშა

20 ივლისს

**პეტერბურგი.** გუშინ პეტრეს სასახლეში დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის და დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულის სადილზე დაესწრნენ: მეფე სერბიისა, მისნი მხლებელნი, მოსკოვის ოლქის ჯარის უფროსი კოსტანდა, გენერალ-გუბერნატრის კანცელარიის გამგე, გრაფი ორლოვ-დავიდოვი და სერბიის მეფისა და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის ამალა. საუზმეს შემდეგ მეფე და დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე ექვს-ვაგონიანის საგანგებო მატარებლით სამების წმ. სერგის სავანეში წაბრძანდნენ ამალითურთ წმინდანების სანახავად. იქვე გაემგზავრა მიტროპოლიტი იოანიკი. სალამოს ოთხს საათზე სტუმრები მოსკოვშივე დაბრუნდნენ. იმავე მატარებლით დაბრრნდა მიტროპოლიტი იოანიკიც. სალამოს $7^1/_2$ საათზე ნიკოლოოზის სასახლეში დიდის მთავრისას სადილი იქმნა გამართული მეფის პატივ-საცემლად 70 კაცისთვის და სხვათა შორის მიწვეული იყო მიტროპოლიტი იოანიკი, არქიმანდრიტი კირილე და მეფის ამალა.

**კრონშტატი.** საცეკვაო სალამომ ფრანგების გემს „Marengo“-ზე მშვენიერად ჩაიარა. დაესწრნენ ელჩი ლაბუე და თითქმის ყველა დიპლომატნი. სულ 700 კაცზე მეტი დაესწრო.

**პეტერბურგი.** „Нов. Время“ იუწყება, გარდასწყვიტეს, რომ მომავალს სამოსწავლო წელს უმაღლესს სასწავლებლებში აღარ მიიღონ უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომ ებრაელთა შვილები, რომელთაც ნება არა აქვთ რუსეთში ცხოვრებისა.

**ვენა.** დღეს დილით პრაგაში მივიდნენ ბოლგარელნი.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა გოფმეისტერი თავ. ნ. ბ. იუსუპოვი.

**მოსკოვი.** დღეს სალამოს $10^1/_2$ საათზე მეფე სერბიისა ამალითურთ და შემდეგ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე ცალკ-ცალკე საგანგებო მატარებლებით პეტერბურგს გაემგზავრნენ.

**ნეაპოლი.** ადგილს „Atrio del cadallo“-ზე ახალი ნაკადული ჩამოდის მტუტისა.

**იოკაჰამა** გემი „ტამასმარუ“ სუტოდგან დაბრუნდა 320 მუშით. გზაზე დაეჯახა გემს „მიგოსხიმარუს“ და დაიძირა. 260 კაცი დაიღუპა.

21 ივლის

**პეტერბურგი.** სერბიის მეფის ჩამოსვლას გაზ. „Jurnal de St.-Peterburg„-ი შემდეგის სიტყვებით ეგებება: „ჩვენნი მკვიდრნი დიდის სიხარულით უხვდებიან მეგობარის სახელმწიფოს ახალგაზდა ხელმწიფეს. თვით მეფის ალექსანდრეს ტახტზედ ასვლის დღიდამ იმის მეფობას დიდად თანაუგრძნობდნენ რუსეთში და ჩვენის მხრით წრფელის გულით ისურვებდნენ მის ბედნიერებასა და დღეგრძელობას. გულწრფელად თვალს ადევნებდნენ სერბიის ეხლანდელის მთავრობის ყოველსავე განკარგულებას, რომელიც-კი ზნეობითსა და ეკონომიურს აღორძინებას უქადდა სახელმწიფოს. აი ამიტომაც რუსეთის ხალხი სიამოვნებით მიესალამება მეფეს ალექსანდრეს, ვითარცა იმ ქვეყნის ხელმწიფეს, რომელიც დაკავშირებულია ჩვენთან ორგვარად: გვარ ტომობითა და სარწმუნოებით; ის თანაგრძნობა და აღტაცება ხალხისა, რომელიც მოელის მას აქ, დაარწმუნებს მეფეს, რომ რუსეთში სიყვარულით ექცევიან მას და ჩვენი ხალხი მსურველია სერბიის სახელმწიფოს კეთილ-დღეობისა ჩვენის უავგუსტოესის საიმპერატორო სახლობის სტუმრის ახალგაზდა, ხელ-

---

უფრო გრძელი ნესტარი აქვს, ხოლო ფეხები და პაწია ულვაშები-კი ფოთლის ფილოქსერაზედ უფრო მოკლე. ზაფხულის სიცხეების დროს ფესვის ფილოქსერას ყვითელი ფერი სცემს და ზამთარში-კი მუქი ფერი აქვს. ზამთრის კვერცხს ფილოქსერა უმეტესად ორის წლის ვაზის შტოს გაბზარულ უფრო მსხვილ ქერქის ქვეშა სდებს.

„ფესვზედ მძინარე ფოთლის ფილოქსერა, რა თქმა უნდა, არასა სჭამს, მხოლოდ გაზაფხულის თბილს ტაროსზედ იღვიძებს, აჯდება ვაზის წვრილს ფესვს, სცემს თავისს ნესტარს და სწუწნის იმ წვენს, რითიც ვაზი იკვებება და საზრდოობს. ფესვის ფილოქსერა მთელის ზაფხულის განმავლობაში საოცრად მრავლდება და სრულიად ეფინება არა თუ ერთის ვაზის ძირს, არამედ რამდენისამესასაცკი. რასაკვირველია, ურიცხვის მწერით გარს შემოხვეული ვაზის ფესვი სნეულდება, ლპება და ვაზიც საუკუნოდა ჰხმება...

„თიბათვის გასულს ან მკათათვეში ზოგიერთი ფესვის ფილოქსერა მიწიდგან ამოდის, ფრთას ისხამს და თავისუფლად დაფრინავს ვაზის ფოთლებზედ. ეს ფრთიანი ფილოქსერა მახლობელს ვენახში გადადის და იქაც ავრცელებს ამ მავნებელს მწერს. გადასვლისათანავე აირჩევს ხოლმე ახალგაზდა და ღონიერს ვაზს, იმის ნორჩს ფოთოლს ქვეშიდგან აჯდება და წვენსა სწუწნის. ერთის დღის შემდეგ, ვაზის ფოთოლზედ, ან იმის რქის კანის ქვეშ თესლსა ჰყრის და აქედგან იჩეკებიან განსხვავებული (половая) დედალ-მამალი მწერები. ეს მწერები არასა სჭამენ, მხოლოდ, რომ ვაზის ძველ ფესვის ძირში თითო რუხის ფერს კვერცხსა სდებენ; ეს კვერცხები გაზაფხულამდე უძრავად არის და გაზაფხულზედ-კი ფოთლის ფილოქსერა იჩიკებაო...

ამ გვარად, ლექტორმა ხალხს განუმარტა, რომ ფილოქსერა ძლიერ პატარა და უჩინარი მწერია, რომელიც მიწაშიაცა სცხოვრობს და ვაზის ფოთოლზედაც და, მაშასადამე, კაცი, თუ ძლიერ ფრთხილად არ იქმნა, ადვილად გადაიტანს ერთის რომელისამე ადგილიდგან თოხით, ბარით, ტანისამოსით, ფეხით და სხ. ფილოქსერით დაუზიანებელს ვენახში. ამ გაფრთხილების გარდა, მან ხალხს მოაგონა, რომ ფილოქსერის შესახებ მთელი წესებია შედგენილი და ვინც ამ წესებს დაარღვევს, იმას კანონი დასჯისო.

მართალია, აღმოსავლეთს საქართველოს იმერეთისაგან ქოჩორის მთა იფარავს, მაგრამ, რადგანაც თქვენს შორის ხშირი მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემობაა, დიდის სიფრთხილით უნდა მოექცეთ ამ საქმეს და არამც და არამც არ გადმოიტანოთ იმერეთიდგან, სადაც ფილოქსერა ისე მოდებულია, ვაზის ნერგი, ყურძენი, ანუ სხვა რამ ჰირნახულობა და ხილეულობა. მეტად ძნელია ფილოქსერის გაჩენისა და გამრავლების შემდეგ იმასთან ბრძოლა და ამიტომაც მთავრობა წინადვე ფრთხილად ეკიდება ამ საქმეს, არა ჰზოგავს არც ფულსა და არც ჯაფას, რომ თავისს დროზედ, ე. ი. მანამ ფილოქსერა გავრცელდებოდეს, მიასწროს და აღმოაჩინოს იგი, თუ არის სადმე. სწორედ ამ მიზეზითა ვართ ჩვენ გამოგზავნილნი ვენახების გასასინჯად. ამ გვარად, როგორც სურამში, გორისა და დუშეთის მაზრებშიაც უნდა გავსინჯოთ ვენახები და ასევე ისინჯება ვენახები ყველგან—კახეთში, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში და განჯისა, ბაქოსა და დაღესტნისაკენაცაო.

დასასრულ თავ. ი. ზ. ადრონიკაშვილმა ისიც მოიხსენია, თუ ვენახების სხვა გვარს ავადმყოფობას, განსაკუთრებით-კი ობს (მილდიუსა), ნაცარსა და ჭრაქს რა ვნება მოაქვს და რა ადვილია იმათ წინაამდეგ ბრძოლა... ხალხი დიდის გულ-ყურითა და დაკვირვებით ისმენდა ამ საუბარს. ზოგიერთმა იქ დამსწრემ მაღალის წოდების წარმომადგენელმა და მემამულემ მადლობა განუცხადა ახალგაზდა ექსპერტს.

სურამის სასოფლო სამმართველოდგან ექსპერტი გაემართა ჩუმათელეთის საზოგადოების სამმართველოსკენ, სადაც წინადვე შეგროვილი ხალხი უცდიდა. იქაც ასევე ესაუბრა მრავლად თავ-მოყრილს გლეხ-კაცობას. გლეხ-კაცობა სიხარულით უსმენდა ქართულს ენაზედ მშვენიერად მოსაუბრეს ახალ-გაზდა ნასწავლს ქართველს.

ამას წინად ბ-ნმა ი. ზ. ანდრონიკაშვილმა სთხოვა მაზრის მარშალს, თავ. სულხანიშვილს, რომ შემოდგომისათვის ადგილობრივს თავად-აზნაურობას სთხოვეთ, ამ საქმისათვის მობრძანდნენ გორში, რომ იმათაც როგორც უფრო შეგნებულს ნაწილს საზოგადოებისას, ვატვირთებინოთ ეს ქვეყნის სასარგებლო საქმეო. დარწმუნებული ვართ, რომ ქართლის თავად-აზნაურობა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და დიდის თანაგრძნობით დაეხმარება საფილოქსერო დასს.

დეკანოზის შვილი

მწიფის და შთამომავლობის მართველობისა ქვეშ.

გუშინ კრონშტადში ზღვათა უწყებამ სადილი გამართა საფრანგეთის ფლოტის 200 და რუსეთისას 100 ჯარის-კაცს. სუფრა გაშლილი იყო მდიდრულად მორთულს მანეჟში და ოთხი თავი საჭმელი ჰქონდათ. კაცის თავზე ჩამარიგებული იყო ნახევარ ბოთლი წითელი ღვინო და თითო ბოთლი ლუდი. თევზის ჩამორიგების შემდეგ სტუმრებს ჩამოუტარეს შამპანიის ღვინო და სადღეგრძელოები დაიწყო

22 ივლისს

**პეტერბურგი.** გუშინ ნაშუადღევის 3 საათზე პეტერგოფს მივიდა სერბიის მეფე ალექსანდრე, რომელსაც საპატიო ყარაული მიეგება. მესამე საათის დასასრულს მიბრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძითურთ, ყველა დიდი მთავარი, ჰერცოგი გიორგი ლეიხტენბერგელი, პრინცები ალექსანდრე და პეტრე ოლდენბურგისანი და ჰერცოგები მეკლენბურგისა. მეფეს გულითადად მიეგება ხელმწიფე იმპერატორი. მეფეს წარუდგნენ წევრნი სერბიის ახალშეშენისა და თაიგული მიართვეს. ხელმწიფე იმპერატორი მეფითურთ წაბრძანდა დიდს სასახლეში. სასახლეში მეფეს მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, დიდნი მთავარნი, ჰერცოგინია ანასტასია ლეიხტემბერგელი, პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელი და დიდნი მთავარნი. მიგებების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა წაბრძანდნენ სასახლიდგან. მეფემ მათი უდიდებულესობანი ეტლამდე გააცილა. 6 საათზე პეტერგოფში მიბრძანდა დედოფალი ბერძენთა თავისის ასულის მარიამითურთ, მეფის ამალაში იმყოფეფა რისტიჩი და პაშიჩი.

გუშინ ადმირალმა ჟერვემ „Marengo“-სი და „Marecale“-ს კომანდირმა და შტაბის უფროსმა ალექსანდრე ნეველის სავანე დაათვალიერეს, იქ 1/4 საათი დაჰყვეს და სხვათა შორის დაათვალიერეს საფლავი სუვოროვისა.

გუშინ საფრანგეთის ახალშენმა საფრანგეთის ესკადრის აფიცერთა პატივსაცემლად დღესასწაული გამართა ბალს „არკადია“-ში. ბალის შესავალს კარებთან კოშკზე ამართული იყო დროშა და ფარი, რომელზედაც ეწერა „Salut a la France“.

გუშინ „Новое Время-ს რედაქციამ სადილი გამართა საფრანგეთის ესკადრის პატივსაცემლად. სადილს დაესწრო ხუთი ფრანგი აფიცერი, ჟერვეს ბრძანებისამებრ.

„Новое Время“ იუწყება, მოკლე ხანში სინოდს საგანგებო კრება ექნება შესახებ იმისა, რომ 20,000 ძველი კათოლიკე უნდა შემოუერთდეს მართლმადიდებელს ეკკლესიას და თავისი ესეთი სურვილი უკვე გამოუცხადეს ალეუტის ეპისკოპოსს ვლადიმერს.

პეტერბურგში აპირობენ დაარსონ მთავარი გამგეობა ცეცხლის მქრობელ რაზმთა. ეს გამგეობა ყოველ-კვირეულს ჟურნალსაც გამოსცემს, რომელშიაც დაიბეჭდება წერილები ცეცხლის ქრობის საქმის შესახებ.

**პარიჟი.** გუშინ ქალაქმა შერბურგმა კრეისერ „Адмиралъ Корниловъ“-ის პატივსაცემლად დღესასწაული გამართა. დღესასწაულმა ძლიერ მშვენიერად ჩაიარა. დღეს შერბურგის ვაჭართა წარმომადგენელნი ადრესს მიართმევენ რუსეთის გემის კომანდირს, ხოლო ხვალ კაზინოში მეჯლისი იქნება

რუანის ქალაქის საბჭომ ადრესი გაუგზავნა პეტერბურგის საბჭოს და მადლობა გამოუცხადა საფრანგეთის ესკადრის მშვენიერად დახვედრისათვის.

23 ივლისს

**პეტერბურგი.** სხვათა დაკანონებათა შორის გამოცხადებულია, რომ გენერალ-გუბერნატორებსა და კავკასიის მთავარ-მართებელს დაეკისროთ ვალდებულება მინისტრთა და მთავარ გამგეთაო.

**პეტერგოფი.** 22 ივლისს. დღეს, ხელმწიფე იმპერატრიცას დაბადებისას, პეტერგოფი დილიდგანვე შეიმკო დროშებით და თუმცა ბურუსიანი ტაროსი იყო, მაინც დიდი ხალხი მოაწყდა. დილის 10 საათზე უმაღლესი გამობრძანება მოხდა, რომლის დროსაც სერბიის მეფეს ლენტი ერტყა წმ. ანდრია პირველ წოდებულისა. დამსწრეთა შორის იყვნენ აფიცრები საფრანგეთის ესკადრისა. წირვის შემდეგ საუზმე გაიმართა. საუზმის დროს ხელმწიფე იმპერატრიცას გვერდით სტოლთან იჯდა მეფე სერბიისა. საუზმეს შემდეგ საფრანგეთის ესკადრის აფიცრებმა ეტლებით ისეირნეს პეტერგოფში. საღამოს 7 საათზე სადილი გაიმართა 300 კაცისათვის.

დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს ებოძა ფლიგელ ადიუტანტობა. სერბიის მეფეს ებოძა ნიშანნი წმ. ანდრია პირველ წოდებულის ორდენისა.

**კონსტანტინეპოლი.** კუნძულ კრიტის ქრისტიანთ მკვიდრთ მიჰმართეს სულთანსა და სთხოვენ, ღონის-ძიებანი იხმარეთ მკვლელობისა და უწესოების მოსასპობად, რომ უბედურება არა მოხდეს-რაო.

ამბავი მოვიდა, რომ 3 აგვისტოს (?) იემენში შეტაკება მოუხდათ ოსმალეთის ჯარსა და მეამბოხეთა. ჯარს უძლევია და მეამბოხენი მალე დამორჩილდებიანო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 55 | 7, 58 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 3/4 | 152 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 09 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 239 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . | — ,, | — ,, | 228 1/2 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 210 1/2 | — ,, | 212 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## საუნჯე

**მეათე საუკუნისა**

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.

**ფასი ერთი აბაზი**

(10—0—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |

**ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება**

ახლად შედგენილი ვრცელი

## სამზარეულო

ქართული და ევროპიული საჭმელებისა.

წიგნი შეიცავს 636 გვ. 5—9 ფორმ. შიგ მოთავსებულია 871 სხვადა-სხვა დარიგება საჭმელების მოსამზადებლად და ხორაგეულის შესანახად. ჩართულია ხაზებით ასო, ასო დაყოფილი ძროხის სურათი.

განყოფილება 1. წვნიანი საჭმელები, 2. სხვა-და-სხვა ნაირი საწებელა, 3. მწვანეულობა, 4. ხორცი ძროხისა, ხბოსი, ცხვრისა, ღორისა, ფრინველისა და სხვ. ციკად, შემწვარი და მოხრაკული, 5. თევზეულობა, 6. კუპატი და პაშტეტები, 7. პუდინგები, 8. ბლინები, ერბო-კვერცხი, ომლეტი, კვერცხები, 8. მაროჟნი, კრემი, ჟელეი, ბლომანჟე, მჟავე ფაფა, კომპოტი, 9. ფაფეულობა, ხაჭაპურები, კაფლი და ბურბუშელა, 10. ტორტები, 11. სამარხვო საჭმელები, 12. პური, ბაბა ანუ პასკები, ბულკები, კულიჩები, სუხარი, კრენდელები და სხვ. 13. მურაბები, 14. ღვინო, ნალივკები, კიშნიაკი, შიპოკკა და სხვ. სასმელები, 15. მჟავი, მდოგვი და სხვ. 16. რძე, ნაღები, მაწონი, კარაქი, ერბო, ყველი და სხვ. 17. ხილეულობის შენახვა, 18. მწვანეულობის შენახვა, 19. მწნილები, 20. ხორცის შენახვა.

**ფასი წიგნისა ექვსი აბაზი**

წიგნები ისყიდება აგრეთვე ქართველთა ამხანაგობის აგენტებთან: სოხუმში— ფილიპე ერქომაიშვილი, ბათუმში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტ. ნოდია (წიგნის მაღაზია) ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე (წიგნ. მაღაზია) ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნ. მაღაზია) დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, ძირულაში—ილია ჭიჭინაძე, ბეჟათუბანში—ანდრ. შაფათავა, ხაშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში—არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია) განჯაში—დიმ. ქვლივიძე და იაკ. ნოდია და თელავში—მიხ. ცისკარაშვილი.

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—6)

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

## ქართული პიესები

თხზულება

**ალალო თუთაევისა.**

ამ წიგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:

**„უშნო არშიყი“**, კომედია სამ მოქმედებად.
**„სოფიო“**, ვოდევილი ერთ მოქმედებად.
**„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში
კავკავში—ი. ტერტეროვთან.
ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.
სიღნაღში—კ. ნადიროვთან.
თელავში—მამა აბელ სუქიანცთან.
გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.
ცხინვალში—ი. მელქუოვთან.
„ თ. კ. მ. ციციანოვთან.
სურამში—ზ. არუწოვთან.
ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.
ქუთაისს—ძმ. ჰილაძებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.
ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.
ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.
ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
ფოთშ—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.
სოხუმში—ან. ჯუღელთან.

ფასი. 30 კაპ. (15—9)

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

## „ძმური სიტყვა“

**დ. მაჩხანელისა**

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;
ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;
გორში არსენ კალანდაძესთან;
თელავში ილია ზარაფოვთან;
სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.
ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—10)


Дозв. ценз. Тифлисъ, 23-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე